

## **თავი - 16**

### **063 მსტილის აღრიცხვა**

#### **მინარესი**

- ❖ ინკუსტიურის არსი;
- ❖ ფინანსური ინსტრუმენტები:
  - ◆ ფინასური აქტივისა და ფინანსური ვალდებულებების საწყისი შეფასება;
  - ◆ ფინასური აქტივების საწყისი აღიარების შემდგომი შეფასება;
  - ◆ ფინანსური აქტივების ვაუფასურება;
- ❖ საინვესტიციო ქონება:
  - ◆ საინვესტიციო ქონების შეფასება;
- ❖ წილობრივ ინსტრუმენტებში დაბანდებული ინკუსტიურის აღრიცხვა:
  - ◆ ინკუსტიური შვილობილ საწარმოში;
  - ◆ ინკუსტიური ძეკავშირე საწარმოში;
  - ◆ ინკუსტიური ერთობლივად კონტროლირებად სამეურნეო სუბიექტში;
- ❖ ახსნა-ვანმარტებები

## 16 . 1 . ინვესტიციების პრინციპები

ინვესტირება (ინგლისურად ***invest***, გერმანულად ***investieren***, ლათინურად ***investire*** - შემოსვლა, მართვა) სახსრების ჩადება საწარმოში, ღონისძიებაში, ეკონომიკის დარგში ან მოცემულ სახელმწიფოში.

**ინვესტიცია** - არის აქტივი, რომელსაც ფლობს საწარმო საკუთარი სიმდიდრის გასაზრდელად, შემოსავლების (პროცენტების, როიალტების, დივიდენდების და საიჯარო ქირის) განაწილების საშუალებით, კაპიტალის ან სხვა სახის სარგებლის (როგორიცაა სარგებელი კომერციული საქმიანობიდან) გასაღიღებლად ინვესტიციების ჩამდები საწარმოსათვის.

ინვესტიცია ანუ კაპიტალის დაბანდება, საწარმომ შეიძლება სხვადასხვა სახით განახორციელოს. ინვესტიცია ძირითადად ხორციელდება ფინანსური დაბანდების სახით და წარმოადგენს ფინანსურ უფლებას. ასევე ინვესტიცია შეიძლება განხორციელებული იქნას მატერიალური სახით, მაგ: უძრავ ქონებაში და ძვირფას ლითონებში.

ინვესტიციის ბურალტრული ასახვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი შინაარსის სწორად გარკვევას, მითუმეტეს რომ ბასს-ები ამ საკითხს არაერთჯერ ეხება და სხვადასხვა სტანდარტით განიხილავს ინვესტიციებთან დაკავშირებულ საკითხებს.

კერძოდ, ინვესტიციასთან დაკავშირებულ საკითხებს სხვადასხვა კუთხით არეგულირებს შემდეგი სტანდარტები:

პას 27 “კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშებია”

პას 28 “ინვესტიციები მეკავშირე საწრმოებში”

პას 31 “ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობა”

პას 32 “ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა”

პას 40 “საინვესტიციო ქონება”

ფას 3 “საწარმოთა გაერთიანება”

ფას 5 “გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები”

ფას 7 “ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები”

ფას 9 “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება”

როგორც ვხვდებით ეს ფართო და რთული თემაა და მისი სრულყოფილად აღქმა მსმენელისაგან მოითხოვს ფინანსურ საკითხებში მეტ ცოდნასა და გამოცდილებას, ვიდრე ამ ეტაპზე გვაქვს. ამდენად, ამ ეტაპზე ჩვენი მიზანია გარკვეული ორიენტაცია ჩამოვიყალიბოთ ინვესტიციების თემასთან დაკავშირებით. ამ თემის განვითარება უფრო სრულყოფილი ფორმით მოხდება ჩვენი პროგრამის მესამე დონეზე.

## 16 . 2 . ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი – არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს, როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ას 38 “ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები და წარდგენა” განიხილავს

შემდეგ ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებს:

- ვალუტა ( ფულადი სახსრები) ფინანსური აქტივია, რადგან იგი წარმოადგენს გაცელის საშუალებას და აძლენად, ყველა ოპერაციის შეფასებისა და ფინანსურ ანგარიშებაში წარდგენის საფუძველს;
- ფულადი დეპოზიტი ბანკში ან სხვა ანალოგიურ ფინანსურ დაწესებულებაში წარმოადგენს ფინანსურ აქტივს, რადგან იგი წარმოადგენს დეპოზიტორის სახელშეკრულებო უფლებას, ამ დაწესებულებიდან მიღონ ფულადი სახსრები ან გამოწეროს ჩეკი ან სხვა ანალოგიური ინსტრუმენტი ანგარიშზე არსებული ნაშთიდან, კრედიტორის სასარგებლოდ ფინანსური ვალდებულებების დასაფარად;
- ფინანსური აქტივები, რომლებიც მომავალში ფულადი სახსრების გადახდის სახელშეკრულებო უფლებას ან ვალდებულებას წარმოადგენს:
  - ა) სავაჭრო ურთიერთობებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები და ვალდებულებები;
  - ბ) მისაღები და გასანაღდებელი თამასუქები;
  - გ) მისაღები და გადასახდელი სესხები; და
  - დ) მისაღები და გასანაღდებელი ობლიგაციები.

თთოეულ განხილულ შემთხვევაში, ერთი მხარის სახელშეკრულებო უფლებას – მიღონ (ან ვალდებულებას გადაიხდოს) ფულადი სახსრები, შეესაბამება მეორე მხარის ვალდებულება გადახდის (ან უფლება მიღების) შესახებ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის ეკონომიკურ სარგებელს წარმოადგენს ფინანსური აქტივის, მაგრამ არა ფულადი სახსრების, მიღება ან გაცემა. მაგალითად, ვასანაღდებელი თამასუქები, რომელთა დაფარვა ხდება სახელმწიფო ობლიგაციებით, მფლობელს სახელშეკრულებო უფლებას აძლევს, მიღონ, ხოლო ემიტენტს – სახელშეკრულებო ვალდებულებას – მარტორის სახელმწიფო ობლიგაციები და არა ფულადი სახსრები;
- ობლიგაციები წარმოადგენს ფინანსურ აქტივებს, რადგან ეს არის სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ვალდებულებები – გადაიხდოს ფულადი სახსრები. ამიტომ ობლიგაციები მფლობელისათვის ფინანსური აქტივია, ხოლო მისი ემიტენტისათვის – ფინანსური ვალდებულება;
- “მუდმივი” სავალო ინსტრუმენტები, როგორიცაა: “მუდმივი” ობლიგაციები, ობლიგაციები უზრუნველოფის გარეშე და ფასიანი ქაღალდების თამასუქები, ჩვეულებრივ, მის მფლობელს ანიჭებს სახელშეკრულებო უფლებას, ანაზღაურება მიღონ პროცენტის სახით განსაზღვრულ თარიღებში, განუსაზღვრელი მომავალი პერიოდის განმავლობაში, მირთადი თანხის მიღების გარეშე ან მირთადი თანხის მიღების უფლებით, მაგრამ ისეთი პირობებით, რაც ნაკლებად სავარაუდოა ან გათვალისწინებულია შორეულ მომავალში;
- სახელშეკრულებო უფლების განხორციელების შესაძლებლობა ან მოთხოვნა სახელშეკრულებო ვალდებულების დაკავშირებილების შესახებ, შეიძლება იყოს აბსოლუტური სიღოდის ან დამოკიდებული მომავალში მოსახდენ რომელიმე

მოუღენაზე. მაგალითად, ფინანსური გარანტია არის სესხის გამცემის სახელშეკრულებო უფლება, ფულადი სახსრები მიიღოს გარანტიის გამცემისავან და გარანტის გამცემის შესაბამისი სახელშეკრულებო ვალდებულება გადაუხადოს სესხის გამცემს, თუ მსესხებული კერ დაფარავს სესხს;

- პირობითი უფლება და ვალდებულება აკმაყოფილებს ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულებების ცნებას. პირობითი უფლებისა და ვალდებულების მაგალითი შესაძლოა იყოს სადაზღვევო ხელშეკრულებები;
- ფინანსური იჯარის ქვეშ იგულისხმება მეიჯარის უფლება მიიღოს და მოიჯარის ვალდებულება – გადაიხადოს გადასახდელების ნაკადი, რომელიც არსებითად ივივა, რაც სავალო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი და სარგებლის თანხების შერეული გადახდა. მოიჯარე თავის ინვესტიციებს ასახავს საიჯარო ხელშეკრულების თანახმად მისაღები თანხების ოდენობით და არა როგორც იჯარით გაცემულ აქტივს;
- წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითებს წარმოადგენს ჩვეულებრივი აქციები და გარკვეული ტიპის პრივილეგიური აქციები. როდესაც პრივილეგიური აქციების მფლობელებისათვის დივიდენდების განაწილებას ემიტენტი საკუთარი შეხედულებით ახდენს, აქციები წარმოდგენს წილობრივ ინსტრუმენტს.

მოქმედი ანგარიშთა გეგმა ითვალისწინებს ინვესტიციების აღრიცხვას მათი ტიპების მიხედვით და შესაბამისად გამოყოფილია ანგარიშების ორი ჯგუფი: **1300 “მოკლევადიანი ინვესტიციები”** და **2400 “გრძელვადიანი ინვესტიციები”**. თითოეულ ჯგუფში ინვესტიციების აღრიცხვა გათვალისწინებულია მათი განთავსების მიხედვით. მაგალითად, საწარმოთა ფასიან ქაღალდებში (აქციები, ობლიგაციები) განთავსებული ინვესტიციები და სახელმწიფო ფასიან ქარაღალებში (ობლიგაციები, სერტიფიკატი, თამასუქები) განთავსებული ინვესტიციები. ამ მიზნით **1300 “მოკლევადიანი ინვესტიციები”** ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი ანგარიშები:

#### **1300 “მოკლევადიანი ინვესტიციები”**

- 1310 “მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში”
- 1320 “მოკლევადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში”
- 1330 “გრძელვადიანი ინვესტიციების მიმდინარე ნაწილი”
- 1390 “სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები”

განთავსების მიხედვით, გრძელვადიანი ინვესტიციების აღსარიცხვად **2400 “გრძელვადიანი ინვესტიციები”** ჯგუფში გათვალისწინებულია შემდეგი ანგარიშები:

#### **2410 “გრძელვადიანი ინვესტიციები”**

- 2410 “გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში”
- 2420 “გრძელვადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში”
- 2430 “მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში”
- 2490 “სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები”.

ეკონომიკური შინაარსით ეს ანგარიშები აქტიური ანგარიშებია. დებეტში აისახება საწარმოს მიერ ინვესტიციების განთავსების, რეკლასიფიკაციისა და ფასმატების ოპერაციები, კრედიტში კი – ინვესტიციების რეკლასიფიკაციის, გაყიდვისა და განაღლების ოპერაციები.

რამდენადაც ინვესტიციები ფინანსურ დაბანდებებს წარმოადგენს თემის განხილვაც აქტიურ დავიწყოთ.

### **16 . 2 . 1 . ზინასური აქტივისა და ზინასური გაღდებულებების საწყისი შეფასება**

#### **პას 9 „ფინანსური ინსტრუმენტები აღმოჩენა და შეფასება“ მიხედვით:**

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება:

- შემდგომში ამორტიზირებადი ღირებულებით შეფასებული; ან
- შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული.

ფინანსური აქტივი შეფასება ამორტიზებადი ღირებულებით, თუ შემდეგი პირობებიდან ორივე არის დაკმაყოფილებული:

- ა) საწარმოს აქტივის მართვა ხდება ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად;
- ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები ითვალისწინებს კონკრეტულ თარიღებს ისეთი ფულადი ნაკადებისათვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითად თანხასთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

თავდაპირველი აღმოჩების დროს, საწარმომ ნებისმიერი ფინანსური აქტივი უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით, ხოლო ისეთი ფინანსური აქტივის შემთხვევაში, რომელიც კლასიფირებული არ არის რეალური ღირებულებით აღრიცხვისათვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით - პლუს გარიგების დანახარჯებით, რომელიც პირდაპირ მისაკუთვნებელია ფინანსური აქტივის შეძენაზე.

ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება თავდაპირველი შეფასების დროს ძირითადად წარმოადგენს გარიგების ღირებულებას - გადახდილ ან მიღებულ კომპენსაციას.

#### **საიღუსტრაციო მავალითი:**

საწარმომ ვამომშვებისავან (პირველად ბაზარზე) შეიძინა 5.000 ლარიანი ობლიგაცია 5.100 ლარად, რომლის შენარჩუნებას აპირებს განაღდების ვადამდე. შეძენისას გადაიხადა ბროკერის ანაზღაურება 300 ლარი. ინვესტიცია კლასიფირებულია შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულად.

შეძენის ბუღალტრული გატარება იქნება:

- დ. 2410 „გრძელვად. ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში“ - 5.400 ლარი
- ქ. 1210 „ეროვნული ვალუტა რეზივენტ ბანკში“ - 5.400 ლარი

### საილუსტრაციო მაგალითი:

საწარმომ შეიძინა „B“ საწარმოს აქციების 30% 10.000 ცალი 442.000 ლარად. თითო აქციის კოტირებული ფასია 44.20 ლარი. ბირჟის საკომისიო გადახდილია 2.000 ლარი. ინვესტიცია კლასიფირებულია შეძვომში რეალური ღირებულებით შეფასებულად.

შეძენის ბუღალტრული გატარება იქნება:

დ. 2430 „მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში“ - 442.000 ლარი ( $10.000 \times 44.20$ )

დ. 8220 „არასაოპერაციო ზარალი“ - 2.000 ლარი

კ. 1210 „ეროვნული ვალუტა რეზივუნტ ბანკში“ - 444.000 ლარი

ფასიანი ქაღალდების შეძენა ძირითადად ხდება არა უშუალოდ გამომშვებისაგან, როცა მას ფასიანი ქაღალდები პირველად გამოაქვს გასაყიდად (პირველად ბაზარზე), არამედ სხვა ინვესტორებისაგან (მეორად ბაზარზე). ფასიანი ქაღალდების უმეტესობას (ობლიგაციებს) პროცენტები ერიცხება წინასწარ განსაზღვრული განაკვეთით და ის იანგარიშება ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულებიდან, ასევე წინასწარ არის განსაზღვრული პროცენტის გადახდის პერიოდულობა. ამის გამო ინვესტორი თუ ფასიან ქაღალდს ყიდულობს მეორად ბაზარზე, მას შეიძლება მოჰყვეს წინა დარიცხული პროცენტი, რომელიც მიუღებელი აქვს გამყიდველს იმის გამო, რომ მისი გადახდა ჯერ არ მოუხდენია გამომშვებს.

### პას 18 “ამონაგები”-ს მიხედვით:

თუ გადასახდელი პროცენტის დარიცხვა პროცენტიანი ინვესტიციების (ფასიანი ქაღალდების) შეძენამდე მოხდა, მომავალ პერიოდში მიღებული საპროცენტო შემოსავალი განაწილდება ფასიანი ქაღალდების შეძენის წინა და მომდევნო პერიოდებზე. ამ შემთხვევაში ამონაგების სახით აღიარდება მხოლოდ შეძენის შემდგომი პერიოდის საპროცენტო შემოსავალი.

### საილუსტრაციო მაგალითი:

საწარმომ 1 ივნისს მეორად ბაზარზე შეიძინა 12%-იანი სახელმწიფო ობლიგაცია, რომლის ნომინალური ღირებულება არის 1.000 ლარი. პროცენტის გადახდის პერიოდია კვარტლის ბოლო დღე. ინვესტიციაში გადახდილია 1.100 ლარი. ინვესტიცია კლასიფირებულია შეძვომა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულად.

შეძენის ბუღალტრული გატარება:

დ. 2420 „გრძელვად. ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში“ - 1.080 ლარი

დ. 1820 „მისაღები პროცენტები“ - 20 ლარი ( $1.000\text{-ის } 12\% = 120 : 12\text{თვე } \times 2\text{თვე}$ )

კ. 1210 „ეროვნული ვალუტა რეზივუნტ ბანკში“ - 1.100 ლარი

## 16 . 2 . 2 . ფინანსური აქტივების საწყისი აღიარების შემდგომი შეზარება

### ფას 9 “ფინანსური ინსტრუმენტები: აღარება და შეფასება” მიხედვით:

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ ფინანსური აქტივი უნდა შეაფასოს:

- რეალური ღირებულებით; ან
- ამორტიზებადი ღირებულებით.

**რეალური ღირებულება** - არის თანხა, რომლითაც აქტივი შეიძლება გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს, საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის “გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით” დადებულ გარიგებაში.

**რეალური ღირებულებით შეფასება.** ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების დადგენა ძირითადად ხდება ბაზრის მონაცემების საფუძველზე.

**აქტიური ბაზარი:** კოტირებული ფასი. ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირებულად განიხილება, თუ კოტირებული ფასები იოლად და რეგულარულად მიღებადია ბირჟიდან, დილერისაგან, ბროკერისაგან, სამეწარმეო ჯგუფისგან, ფასდაღვენის მომსახურებიდან ან მარეგულირებელი სააგენტოდან და აღნიშნული ფასები ასახავს აქტუალურ და რეგულარულ საბაზო გარიგებებს საფონდო ბირჟაზე. რეალური ღირებულება განისაზღვრება ყიდვისა და გაყიდვის მსურველებს შორის ფასზე შეთანხმების მეშვეობით, საფონდო ბირჟაზე გარიგების წარმოებისას.

**არააქტიური ბაზარი:** შეფასების ტექნიკა. თუ ბაზარი ფინანსური ინსტრუმენტისათვის აქტიური არ არის, საწარმო რეალურ ღირებულებას ადგენს შეფასების ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკა მოიცავს საფონდო ბირჟაზე გათვითცნობიერებულ და სურვილის მქონე მხარეებს შორის დადებული უკანასკნელი გარიგებების გამოყენებას, თუ შესაძლებელია, რომ განისაზღვროს თითქმის მსგავსი სხვა ინსტრუმენტის მიმდინარე რეალური ღირებულება. შეფასების ტექნიკის გამოყენების მიზანია განსაზღვროს, თუ რა იქნებოდა გარიგების ფასი შეფასების დღეს საფონდო ბირჟაზე ნორმალური ბიზნესის წარმოების შემთხვევაში. შესაბამისად, შეფასების ტექნიკა აერთიანებს ყველა ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილენი გაითვალისწინებდნენ ფასის დადგენისას და შესაბამისაობაშია ფინანსური ინსტრუმენტების ფასდაღვენის მიღებულ ეკონომიკურ მეთოდოლოგიებთან.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ასახვის ნიუანსები განვიხილოთ ობლიგაციების მაგალითზე.

როგორც ვიცით, ობლიგაციიდან მისაღები ფულადი ნაკადები შედგება საპროცენტო თანხებისა და ობლიგაციის განაღდებისას ძირითადი (ნომინალური) ღირებულებისაგან. ობლიგაციის ყიდვა-გაყიდვისას ბაზარზე მისი ფასი ყალიბდება ობლიგაციის ნომინალური ღირებულებისა (როგორც ერთჯერადი ინვესტიციის) და ფიქსირებული საპროცენტო თანხის (როგორც ანუიტეტის გადახდის) დისკონტირებული ღირებულების ჯამით. დისკონტირებული ღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება მოქმედი (საბაზრო) საპროცენტო განაკვეთი. თუ ნომინალური საპროცენტო განაკვეთი (შეთავაზებული ემიტენტის მიერ) მეტია საბაზრო განაკვეთზე, ობლიგაციის ყიდვა-გაყიდვა წარმოებს ფასნამატით ანუ პრემიით, რომელიც ემიტენტისათვის წარმოადგენს შემოსავალს, ხოლო ინვესტორისათვის – ხარჯს. თუ ნომინალური საპროცენტო განაკვეთი საბაზრო

საპროცენტო განაკვეთზე ნაკლებია, ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვა წარმოებს ფასდაკლებიტ ანუ დისკონტით, რომელიც ემიტენტისათვის არის ხარჯი, ხოლო ინვესტორისათვის კი შემოსავალი, ხოლო თუ საბაზრო საპროცენტო განაკვეთი ტოლია ნომინალური საპროცენტო განაკვეთისა, ობლიგაციის ყიდვა-გაყიდვა წარმოებს ნომინალური ღირებულებით.

### საინვესტრაციო მავალითი:

კომპანია „ალფა“ 9.520 ლარის ინვესტიციას დებს 10000 ლარის ნომინალური ღირებულების ძქნე 10%-იან კერძო კომპანიის ობლიგაციაში. სავალო ვალდებულებები გამოსყიდვას ეჭვემდებარება სამი წლის შემდეგ. ევექტური საპროცენტო განაკვეთი 12%-ია. კომპანია ინვესტიციას იტოვებს დაფარვის ვადამდე. პროცენტის გადახდა ხდება წლის ბოლოს.

#### გაფინანსირები:

- 1) ინვესტიციის ამორტიზირებული ღირებულება ყოველი წლის ბოლოს - ბალანსში ასახვის მიზნით;
- 2) ავსახოთ ინვესტიციაზე პროცენტის მიღება და ინვესტიციის ფინანსურ ანგარიშებაში ასახვის მიზნით შეფასება ბუღალტრულად.

#### ამოხსნა:

გაანგარიშებები:

წელი	საწყისი ღირებულება	საინვესტიციო შემოსავალი (12%)	მიღებული ფული 10%	საბოლოო საბალანსო ღირება
1	9.520	1.142*	1.000	9.662**
2	9.662	1.160	1.000	9.822
3	9.822	1.178	1.000	10.000
<b>განაღდება</b>			<b>10.000</b>	<b>0</b>

\* 9.520-ის 12% = 1.142 ლარი

\*\* 9.520 + 1.142 - 1.000 = 9.662 ლარი

- 1) ინვესტიციის შეფასებული ღირებულება ბალანსში აისახება:

I წლის ბოლოს – 9.662 ლარი

II წლის ბოლოს – 9.822 ლარი

III წლის ბოლოს განაღდებამდე – 10.000 ლარი

განაღდების შემდეგ – 0 ლარი

- 2) ინვასტიციაზე %-ის მიღება:

ბუღალტრულად აისახება:

I-წელი                  II-წელი                  III-წელი

დ. 1210 „ეროვნული ვალუტა რეზივენტ ბანკი“

1.000

1.000

1.000

კ. 8110 „საპროცენტო შემოსავალი“

1.000

1.000

1.000

ინვესტიციის შეფასება:

დ. 2410 „ვრძელვად. ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში“	142	160	178
კ. 8130 ”არასაოპერაციო მოვება“	142	160	178

### საილუსტრაციო მავალითი:

კომპანია 20X2 წლის ოქტომბერში ინვესტიციას დებს საფონდო ბირჟაზე კოტირებული საწარმოს 20,000 აქციაში, რომლის თვითღირებულება თითო აქციაზე შეადგენს 5 ლარს. 20X2 წლის 31 დეკემბერს აქციების საბაზრო ღირებულება იყო 6 ლარი. კომპანია ამ აქციების გაყიდვას გვეძის 2013 წლის ოქტომბერში.

#### გავიანვარიშოთ:

- 1) რა ღირებულებით აისახება ბალანსში ინვესტიცია;
- 2) ავსახოთ ბუღალტრულად ინვესტიციის ვადაფასება.

#### ამოხსნა:

- 1) ინვესტიცია ბალანსში აისახება:

$$20.000 \times 6 = 120.000 \text{ ლარად}$$

- 2) გადაფასების ბუღალტრული ასახვა:

დ. 1310 „მოკლევადიანი ინვესტიცია საწარმოთა ფასიან ქაღალდებში“ - 20.000 ლარი
კ. 8130 ”არასაოპერაციო მოვება“ - 20.000 ლარი

თუ ფინანსური ინსტრუმენტი არაკოტირებულია და შეუძლებელია მისი რეალური ღირებულებით შეფასება, უნდა შეფასდეს - თვითღირებულებით.

### **16 . 2 . 3 . ფინანსური აქტივების გაუფასერება**

#### ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ მიხედვით:

საწარმომ ყოველი საანგარიშებო პერიოდის ბოლოს უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი ან ფინანსურ აქტივთა ჯგუფი გაუფასურებულია.

თუ არსებობს ამორტიზირებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურებით წარმოქმნილი ზარალის რეალური ნიშნები, ზარალის ოდენობა უნდა შეფასდეს, როგორც აქტივის საბალანსო ღირებულებისა და ფინანსური აქტივის თავდაპირები უფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. საწყისი აღიარების დროს გამოთვლითი უფექტური საპროცენტო განაკვეთი) დისკონტირებული მომავალი სავარაუდო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობა. აქტივის საბალანსო

ღირებულება უნდა შემცირდეს პირდაპირ, ან შესწორების ანგარიშის გამოყენებით. ზარალის თანხა უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივი გაუფასურებულია და გაუფასურების ზარალი წარმოშობილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება გაუფასურებისა, გამოწვეული აქტივის საწყისი შეფასების შემდეგ მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით და თუ ამ მოვლენამ გავლენა იქონია ფინანსური აქტივიდან ნავარაუდევი ფულადი სახსრების ნაკადებზე.

ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი ან აქტივთა ჯგუფი გაუფასურებულია, შეიცავს მონაცემებს, რომლებიც აქტივის მფლობელის ყურადღებას მიიპყრობს ზარალის გამომწვევ შემდეგ მოვლენებთან დაკავშირებით:

- ა) ემიტენტის თუ ვალდებულების ამღები პირის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელები;
- ბ) კონტრაქტის პირობების დარღვევა, მაგ., პროცენტისა თუ ძირითადი თანხის გადაუხდელობა;
- გ) გამსესხებელი - მსესხებლის ფინანსურ სიძნელებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, მსესხებელს სთავაზობს ადრე გაუთვალისწინებელ დათმობებს;
- დ) როდესაც მსესხებელი იწყებს გაკოტრებას ან ფინანსური რეორგანიზაციის პროცესს;
- ე) ფინანსური სირთულეების გამო აღნიშნული ფინანსური აქტივისათვის ბაზრის არარსებობა.

წილობივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციებისათვის გაუფასურების არსებობის ობიექტურ მტკიცებულებას წარმოადგენს იმ ტექნოლოგიურ, საბაზრო, ეკონომიკურ თუ იურიდიულ გარემოში მომხდარი არასასურველი ცვლილებები, რომელშიც ემიტენტი მოღვაწეობს და გვიჩვენებს, რომ წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციების ღირებულება შეიძლება ვერ ანაზღაურდეს. მნიშვნელოვანი თუ ხანგრძლივი ვარდნა წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციების რეალური ღირებულებისა, მის თვითღირებულებაზე დაბლა, აგრეთვე წარმოადგენს გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას.

### საილუსტრაციო მაგალითი:

დაუბრუნდეთ კომპანია „ალფა“-ს მაგალითს, რომელსაც შეიძნილი ჰქონდა კეთი კომპანიის 10%-იანი ობლივაცია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 12% იყო. ინვესტიცია კლასიფიცირებული იყო - შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულად.

მაგალითის მიხედვით ინვესტიციის შეფასებული ღირებულება შეადგენდა:

**I წლის ბოლოს – 9.662 ლარს:**

**II წლის ბოლოს – 9.822 ლარს.**

II წლის ბოლოს კომპანია „ალფა“-ს ინფორმაციით ინვესტირებული კომპანიის ფინანსური სიძნელეების გამო ობლივაციაზე ნომინალური თანხის გადახდა ვერ მოხერხდა და განაღდება მოხდება მხოლოდ – 9.000 ლარის.

### **ინგლისური დოკუმენტის ასახვა:**

- ა) 9.000 ლარი მიღებული იქნება 1 წლის შემდეგ;
- ბ) 9.000 ლარის მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება 12%-იანი დისკონტის განაკვეთით იქნება (ერთი ლარის ერთჯერადი გადასახდელის მიმდინარე ღირებულების ცხრილით კოეფიციენტი შეადგენს 0.8929)  $9.000 \times 0.8929 = 8.036$  ლარი;
- გ)  $10.000 - 8.036 = 1.964$  ლარი – გაუფასურების ზარალი.

ბუღალტრული გატარება იქნება:

დ. 8220 „არასაოპერაციო ზარალი“ - 1.964 ლარი

ქ. 2410 „გრძელვად. ინგლის. საწარ. ფასიან ქაღალდებში“ - 1.964 ლარი

## **16 . 3 . საინვესტიციო ქონება**

### **პას 40 „საინვესტიციო ქონება“ მიხვდვით:**

**საინვესტიციო ქონება** – არის ქონება (მიწა ან შენობები ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოივარე – ფინანსური იჯარის პირობებში) საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა:

- ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის;
- ბ) გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

**მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება** – არის ქონება, რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოივარე – ფინანსური იჯარის პირობებში) საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

საინვესტიციო ქონებას ფლობენ საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით. ამრიგად, საინვესტიციო ქონების საშუალებით ხდება საწარმოს სხვა აქტივებისაგან დამოუკიდებლად ფულადი ნაკადის გამომუშავება. ზემოთ აღნიშნული განასხვავებს საინვესტიციო ქონებას მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონებისაგან, რომლის გამოყენებით საქონლის წარმოება ან მიწოდება, მომსახურების გაწევა (ან ქონების გამოყენება ადმინისტრაციული მიზნებისათვის) ქმნის ფულადი სახსრების ნაკადს, რომელიც დაკავშირებულია არა მარტო ქონებასთან, არამედ წარმოების ან მიწოდების პროცესში გამოყენებულ სხვა აქტივებთან. **პას 16 „მირითადი საშუალებები“** ეხება მესაკუთრის მიერ დაკავებულ ქონებას.

ქვემოთ მოყვანილია საინვესტიციო ქონების მაგალითები:

- ა) მიწა, რომელსაც ფლობენ უფრო კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისათვის, ვიდრე მიმდინარე საქმიანობის პროცესში მოკლე ვადაში გასაყიდად;
- ბ) მიწა, რომელსაც ამჟამად ფლობენ, მაგრამ განუსაზღვრელია მისი სამომავლო გამოყენების წესი (იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს ჯერ არ განუსაზღვრია,

გამოიყენოს თუ არა მიწა, როგორც მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება ან გაყიდოს ის მიღმინარე საქმიანობის პროცესში, ის მიმჩნევა კაპიტალის გაზრდის მიზნით გამოყენებულ ქონებად);

- გ) შენობა, რომელიც არის ანგარიშვალდებული საწარმოს საკუთრებაში (ან ფლობს ანგარიშვალდებული საწარმო ფინანსური იჯარით) და გაცემულია ერთი ან რამდენიმე ჩვეულებრივი იჯარის ხელშეკრულებით;
- გ) თავისუფალი შენობა, რომელსაც ფლობენ მომავალში ერთი ან რამდენიმე კონტრაქტით, ჩვეულებრივი იჯარის გასაცემად.

### **16 . 3 . 1 . საინვესტიციო ქონების შეფასება**

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით უნდა შეფასდეს.

ამის შემდეგ ბასს 40 საწარმოს ორი მიღომიდან ერთ-ერთის არჩევანის უფლებას აძლევს:

- თვითღირებულების მოდელი;
- რეალური ღირებულების მოდელი.

რომელ მოდელსაც აირჩევს საწარმო, მან ის მოდელი უნდა გამოიყენოს ყველა საინვესტიციო ქონების მიმართ.

**თვითღირებულების მოდელის** თანახმად, აქტივი უნდა აისახოს ბასს 16-ით “ძირითადი საშუალებები” განსაზღვრული თვითღირებულების მოდელის შესაბამისად.

- საინვესტიციო ქონება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნაჩვენები იქნება თვითღირებულებას გამოკლებული ცვეთის თანხით.

#### **რეალური ღირებულების მოდელის დროს:**

- აქტივი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასდება რეალური ღირებულებით;
- გადაფასებიდან წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი აისახება უშუალოდ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში;
- აქტივს ცვეთა არ ერიცხება.

როგორც წესი, რეალური ღირებულება განისაზღვრება იმავე ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის მქონე ქონების აქტიური ბაზრის მიმდინარე ფასების მიხედვით.

## 16 . 4 . ტილობრივი ინსტრუმენტი დაბარებული ინგლისურის კლიენტები

**წილობრივი ინსტრუმენტი** - არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებში ყველა მისი ვალდებულებების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის საკუთრების უფლებას.

საწარმო ინგლისურის სხვადასხვა მიზნით ახორციელებს. ზოგიერთი საწარმოსათვის საინვესტიციო საქმიანობა წარმოადგენს მისი ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვან ელემენტს. ზოგიერთი საწარმო ინვესტიციებს ფლობს დამატებითი ფულადი სახსრების მიღების მიზნით, ხოლო ზოგიერთი - კომერციული ურთიერთობების გაძლიერების ან კომერციული უპირატესობის მოსაპოვებლად.

ინვესტიციების მოცულობიდან და მხარეებს შორის ჩამოყალიბებული საინვესტიციო ურთიერთობიდან გამომდინარე, შესაძლებელია ინვესტიცია ზემოთხსენებული სხვადასხვა მიზნით იყოს განხორციელებული. ამიტომ, ბურალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების თვალსაზრისით, განსხვავებული წესებია დადგენილი. შესაბამისად, კლასიფიცირებისათვის აუცილებელია განისაზღვროს, თუ რა პოზიცია აქვს ინვესტორს. კერძოდ:

- ა) ინვესტორი აკონტროლებს სხვა საწარმოს;
- ბ) ინვესტორი სარგებლობს მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით;
- გ) ინვესტორი ვერ სარგებლობს მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით და ვერ აკონტროლებს სხვა საწარმოს; თუ
- დ) ადგილი აქვს ერთობლივი მიზნით ინვესტირებას.

ინვესტორის პოზიციის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს ფინანსური ანგარიშების მომზადების მიზნით.


იმისათვის, რომ გავერკვეთ თუ რას გულისხმობს ზემოთ ჩამოთვლილი ინვესტირების ფორმები, უპრიველეს ყოვლისა გავერკვეთ შემდეგ ტერმინებში:

**კონტროლი** - ნიშნავს საწარმოს ფინანსური და სამურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, ამ საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით.

**მნიშვნელოვანი ზევავლენის უფლება** - ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ინვესტორის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

**ერთობლივი კონტროლი** - წარმოადგენს ხელშეკრულებით დადგენილ ერთობლივ კონტროლს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც სტრატეგიული ფინანსური და ოპერატორული გადაწყვეტილებების მიღება უკავშირდება საქმიანობას, რომელიც საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა (სრულუფლებიანი მონაწილე) ერთსულოვან თანხმობას.

ინვესტიციების სხვადასხვა მოცულობიდან გამომდინარე ინვესტორს განსხვავებული უფლებები გააჩნია ინვესტირებული საწარმოს მიმართ. **ახორციელების №1**



#### 16 . 4 . 1 . ინგლისური უპილობილ საჭარმოში

პას 27 “კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშება”-ს მიხედვით:

შვილობილი საწარმო - არის საწარმო, ამხანაგობის ტიპის არაკორპორაციული ერთეულის ჩათვლით, რომელსაც კონტროლს უწევს სხვა საწარმო (ცნობილი სათავო საწარმოს სახელწოდებით).

სათავო საწარმო - ისეთი საწარმოა, რომელსაც გააჩნია ერთი ან მეტი შვილობილი საწარმო.

საწარმოთა ჯგუფს უწოდებენ სათაო და შვილობილ საწარმოებს ერთად.

სათაო სწარმოს ამ სტანდარტის საფუძველზე აქვს ვალდებულება შეადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება. როგორც ზემოთ აღვნინეთ, იმისათვის რომ საწარმო ჩაითვალოს სათაო საწარმოდ ის უნდა “აკონტროლებდეს” მეორე საწარმოს.


პას 27-ის მიხედვით - კონტროლი არსებობს, როდესაც სათავო საწარმო, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოს მეშვეობით ფლობს ხმის უფლების ნახევარზე მეტს. თუმცა კონტროლი შეიძლება არსებობდეს იმ შემთხვევაშიც თუ სათაო სწარმო ფლობს ხმის უფლების ნახევარს ან ნახევარზე ნაკლებსაც.

ამდენად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების შედგენის ამოსავალი პირობა არის არა ხმის უფლების ნახევარზე მეტის ფლობა, არამედ საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის “კონტროლის უფლება”.

შვილობილი საწარმოს განსაზღვრის სქემა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:


სქემა №2

### შვილობილი საწარმოს განსაზღვრის სქემა



იმის საილუსტრაციო თუ რას გულისხმობს ხმის უფლების ნახევარზე მეტის „პირდაპირი“ და „კრაპირდაპირი“ ფლობა განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

### საილუსტრაციო მაგალითი:



A საწარმო B საწარმოში პირდაპირ ფლობს წილის 80%-ს; C საწარმოში პირდაპირ 35% და არაპირდაპირ 24% (30%-ის 80%-ს) ფლობს, სულ A საწარმო C საწარმოში ფლობს წილის 59%-ს. D საწარმოში პირდაპირ ფლობს 25% და არაპირდაპირ წილის 32% (40%-ის 80%-ს) ფლობს, სულ A საწარმო D საწარმოში ფლობს წილის 57%-ს.

აქედან გამოდინარე A საწარმო არის სათაო სწარმო B, C და D საწარმოები კი შვილობილი საწარმოები.

სათაო და შვილობილ საწარმოებს ერთად - საწარმოთა ჯგუფის უწოდებელი. სათაო საწარმოს ევალება წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება.

წმინდა იურიდიული მოსაზრებით სათაო და შვილობილი საწარმოები გამიჯნულია:

- სათავო საწარმო ინდივიდუალური იურიდიული ერთეულია;
- შვილობილი საწარმო ინდივიდუალური იურიდიული ერთეულია.

თუმცა, ეკონომიკური შინაარსით შესაძლებელია მათი მიჩნევა ერთ ერთეულად – ჯგუფად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება - არის ჯგუფის ფინანსური ანგარიშება, რომელიც წარმოდგენილია, როგორც ერთი ეკონომიკური ერთეულის ანგარიშება.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვიჩვენებს სათაო და შვილობილი საწარმოების ყველა აქტივსა და ვალდებულებას.

ამ თემაში ჩვენ არ განვიხილავთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების შედგენის პროცედურებს, არამედ ამ საკითხს შევეხებით მხოლოდ ინვესტიციების შეფასების კუთხით. შედა ჯგუფური ოპერაციები გამოირიცხება კონსოლიდაციიდან, ე.ი. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში ნაჩვენები მოთხოვნები და ვალდებულებები მოიცავს მხოლოდ ჯგუფის მესამე მხარეთა დებიტორულ/კრედიტორულ დავალიანებებს.

სათაო საწარმოს მიერ მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება გვიჩვენებს:

- მთელი ჯგუფის (სათაო + შვილობილი საწარმო) წმინდა აქტივებს;
- ჯგუფის სააქციო კაპიტალს, რაც ყოველთვის მხოლოდ სათაო საწარმოს სააქციო კაპიტალის ტოლია; და
- გაუნაწილებელ მოგებას, რომელიც შედგება ჯგუფის მიერ მიღებული მოგებისგან (ე.ი. სათაო საწარმოს წარსული პერიოდების მოგება + შვილობილი საწარმოს შეძენის შემდეგ მიღებული მოგება).

სათაო საწარმო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების გარდა ადგენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშებასაც.

ძირითადი საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშებაში, ინვესტიცია აისახება ფასს 3-ის “საწარმოთა გაერთიანება” შესაბამისად - შეძენის ძეთოდით - ანუ იმ აქტივების რეალური ღირებულებით, რაც გადაიხადა შეძენისას.

კონსოლიდირებულ ანგარიშებაში, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ძირითადი საწარმოს აქტივებსა და ვალდებულებებს ემატება შვილობილი საწარმოს აქტივები და

ვალდებულებები, რომელიც კონსოლიდაციის მიზნებისათვის უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას გადახდილი ფასი თუ აჭარბეჭს შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებას, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებაში აისახება “გუდვილი”:

#### 16 . 4 . 2 . ინგენიერული მექანიზმები საწარმოებში

##### ასე 28 “ინკუსტიციები მექანიზმები” განმარტავს:

მექანიზმები საწარმო - არის საწარმო, ამსანაგობის ტიპის არაიურიდიული ერთეულის ჩათვლით, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და ამავე დროს იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში.

მნიშვნელოვანი გავლენა - ნიშნავს ინვესტორის მიერ ინკუსტიციებული საწარმოს ფიანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ინვესტორის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

თუ ინვესტორს, პირდაპირ ან არაპირდაპირ (მაგ., შვილობილი საწარმოს მეშვეობით), ეკუთვნის მექავშირე საწარმოში ზმის უფლების 20% და მეტი, მაშინ ითვლება, რომ ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და პირიქით, თუ ინვესტორის პირდაპირ ან არაპირდაპირ (მაგ., შვილობილი საწარმოს მეშვეობით) ეკუთვნის მექავშირე საწარმოში ზმის უფლების 20%-ზე ნაკლები, მაშინ ითვლება, რომ ინვესტორს არ გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. სხვა ინვესტორის მიერ ამავე საწარმოში მნიშვნელოვანი ან ძირითადი წილის ფლობა არ ნიშნავს იმას, რომ ინვესტორს არ შეიძლება გააჩნდეს მნიშვნელოვანი გავლენა მოცემულ საწარმოში.

ინვესტორის მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება დადასტურდეს შემდეგნაირად:

- ინვესტორის წარმომადგენლის არსებობით მექავშირე საწარმოს დირექტორთა საბჭოში ან სხვა ანალოგიურ მმართველობით ორგანოში;
- მონაწილეობის მიღება პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში, დივიდენდებისა და სხვა განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის ჩათვლით;
- ინვესტორსა და მექავშირე საწარმოს შორის არსებითი გარიგებებით;
- მმართველი პერსონალის ურთიერთგაცვლით; ან
- მნიშვნელოვანი ტექნიკური ინფორმაციის მოწოდებით.

ინვესტორი მექავშირე საწარმოში ინვესტიციების ასახვისათვის იყენებს **კუპიტალ-მეთოდს**. **კუპიტალ-მეთოდის** გამოსაყენებლად, სათაო საწარმოს უნდა ევალებოდეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადება ე.ი. მას უნდა ჰქონდეს სულ მცირე ერთი შვილობილი საწარმო მაინც.

**კუპიტალ-მეთოდი** ისეთი სააღრიცხვო მეთოდია, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველ აღრიცხვას თვითდირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ ახდენს მის კორექტირებას მექავშირე საწარმოს წმინდა აქტივებში ინვესტორის კუთვნილ წილში შეძენის შემდგომ მომხდარი ცვლილებების შესაბამისად.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ასახავს ინვესტორის წილს ინვესტირებული საწარმოს საქმიანობის შედეგებში.

ინვესტორის მიერ მეკავშირე საწარმოს დივიდენდების ან სხვა გასანაწილებელი თანხების მიღება ამცირებს ინვესტიციის მიმდინარე საბალანსო ღირებულებას.

ინვესტიციების ბუღალტრული აღრიცხვის **კაპიტალ-მეთოდი**, ჩვეულებრივ, გამოიყენება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მეკავშირე საწარმოების ასახვისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინვესტიციის თავდაპირველი თვითღირებულება იზრდება ყოველ წელს, ინვესტორის წილით მეკავშირე საწარმოს დაბეგვრის შემდგომ გაუნაწილებელ მოგებაში.

### **16 . 4 . 3 . მიზანური მონაცემები ერთობლივად პონტროლირებად სამუშაო** **სუბიექტიში**

ბას 31 “ერთობლივ საქმიანობაში მონაცემები” განმარტვა:

ერთობლივი საქმიანობა - გულისხმობს ორი ან მეტი მონაწილე მხარის ერთობლივად კონტროლირებადი ეკონომიკური საქმიანობის წარმართვას, სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე.

სრულუფლებიანი მონაცემები - არის ერთობლივი საქმიანობის მონაწილე მხარე, რომელსაც აქვს ერთობლივი კონტროლის უფლება ერთობლივ საქმიანობაზე.

ერთობლივი საქმიანობის ინვესტორი - არის ერთობლივი საქმიანობის მონაწილე, რომელსაც არ გააჩნია ამ საქმიანობაზე ერთობლივი კონტროლის უფლება.

ერთობლივი საქმიანობის ფორმები. არსებობს ერთობლივი საქმიანობის მრავალი ფორმა და სტრუქტურა. ბას 31-ში განხილულია ერთობლივი საქმიანობის სამი ფორმა:

- ერთობლივად კონტროლირებადი საქმიანობა;
- ერთობლივად კონტროლირებადი აქტივები; და
- ერთობლივად კონტროლირებადი სამუშაო სუბიექტი.

ერთობლივ საქმიანობას ახასიათებს შემდეგი საერთო ნიშნები:

- ა) ორი ან მეტი სრულუფლებიანი მონაწილე დაკავშირებულია სახელშეკრულებო შეთანხმებით; და
- ბ) სახელშეკრულებო შეთანხმება აწესებს ერთობლივ კონტროლს.

ერთობლივი კონტროლი - წარმოადგენს ხელშეკრულებით დადგენილ ერთობლივ კონტროლს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც სტრატეგიული ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება უკავშირდება საქმიანობას, რომელიც საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა (სრულუფლებიანი მონაწილე) ერთსულოვან თანხმობას.

სახელშეკრულებო შეთანხმების არსებობა შეიძლება დადასტურდეს სხვადასხვა გზით, მაგალითად, სრულუფლებიან მონაწილეებს შორის კონტრაქტით ან მათ შორის მოლაპარაკების ოქმებით. ზოგჯერ ეს შეთანხმება აისახება ერთობლივი საქმიანობის

წესდებაში, ან ერთობლივი საქმიანობის რომელიმე სხვა შინაგანაწესის იურიდიულ დოკუმენტში. სახელშეკრულებო შეთანხმების სახეობის მიუხედავად, როგორც წესი, შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით და აუცილებლად მოიცავდეს:

- ა) ერთობლივი საქმიანობის სფეროს, ხანგრძლივობას და საანგარიშგებო ვალდებულებებს;
- ბ) ერთობლივი საქმიანობის დირექტორთა საბჭოს ან ანალოგიური მმართველობითი ორგანოს დანიშვნის წესებს და სრულუფლებიანი მონაწილეების ხმის მიცემის უფლებებს;
- გ) სრულუფლებიანი მონაწილეების მიერ ჩადებული კაპიტალის წილს; და
- დ) სრულუფლებიანი მონაწილეების წილს ერთობლივი პროდუქციის გამოშვებაში, შემოსავლებში, ხარჯებსა და ერთობლივი საქმიანობის ფინანსურ შედეგებში.

სახელშეკრულებო შეთანხმება ერთობლივ საქმიანობაზე აწესებს ერთობლივი კონტროლის უფლებას. ასეთი მოთხოვნა იმის გარანტიას იძლევა, რომ სრულუფლებიანი მონაწილეებიდან ცალმხრივად ვერც ერთი ვერ გააკონტროლებს ერთობლივ საქმიანობას.

სახელშეკრულებო შეთანხმებით შეიძლება ერთ-ერთი სრულუფლებიანი მოანწილე განისაზღვროს, როგორც ერთობლივი საქმიანობის მმართველი ან ხელმძღვანელი. ხელმძღვანელი არ აკონტროლებს ერთობლივ საქმიანობას, მაგრამ მოქმედებს სრულუფლებიან მონაწილეებთან შეთანხმებული ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის ჩარჩოებში და ფლობს ხელმძღვანელის უფლებებს. თუ ხელმძღვანელს მინიჭებული აქვს ეკონომიკური საქმიანობის ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის წარმართვის უფლებაც, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი აკონტროლებს ამ საქმიანობას და სამეურნეო სუბიექტი წარმოადგენს მის შვილობილ საწარმოს და არა ერთობლივ საქმიანობას.

**ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საქმიანობა.** ზოგჯერ ერთობლივი საქმიანობა სრულუფლებიანი მონაწილეების აქტივებისა და სხვა რესურსების გამოყენებას უფრო გულისხმობს, ვიდრე კორპორაციის (სააქციო საზოგადოების), ამხანაგობის, ან სხვა ტიპის საწარმოს დაფუძნებას, ან თვით სრულუფლებიანი მონაწილე საწარმოებისაგან განსხვავებული ფინანსური სტრუქტურის ჩამოყალიბებას. თითოეული სრულუფლებიანი მონაწილე საწარმო იყენებს თავის ძირითად საშუალებებს და გააჩნია საკუთარი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. იგი აგრეთვე ეწევა საკუთარ ხარჯებს და იღებს გარკვეულ ვალდებულებებს, თვითონ მოიპოვოს საკუთარი ფინანსური სახსრები, რაც მის საკუთარ ვალდებულებას წარმოადგენს. ერთობლივი საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს სრულუფლებიანი მონაწილის დაქირავებული მუშაკის მიერ, ამ ინვესტორის ანალოგიურ საქმიანობასთან ერთად. ერთობლივი საქმიანობის სადამფუძნებლო შეთანხმება, როგორც წესი გულისხმობს ერთობლივი პროდუქტის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლისა და ერთობლივი საქმიანობის სფეროში გაწეული ხარჯების განაწილების წესის არსებობას, სრულუფლებიან მონაწილეებს შორის.

ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საქმიანობის მაგალითია, როდესაც ორი ან მეტი სრულუფლებიანი მონაწილე აერთიანებს თავის ოპერაციებს და რესურსებს, გამოცდილებას და ცოდნას, რათა ერთობლივად აწარმოონ, გაყიდონ და გაანაწილონ კონკრეტული პროდუქცია, მაგალითად, თვითმფრინავი. საწარმოო პროცესის ცალკეული

ნაწილები ზორციელდება ცალკეული სრულუფლებიანი მონაწილის მიერ. თითოეული სრულუფლებიანი მონაწილე გასწევს საკუთარ ხარჯებს და თვითმფრინავის გაყიდვიდან მიიღებს შემოსავლის იმ ნაწილს, რომელიც განსაზღვრულია სახელშეკრულებო შეთანხმებით.

სრულუფლებიანმა მონაწილემ ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს:

- აქტივები, რომლებსაც ის აკონტროლებს და ვალდებულებები, რომელსაც თვითონ იღებს; და
- გაწეული საკუთარი ხარჯები და თავისი წილი ერთობლივი საქმიანობის საქონლისა და მომსახურების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებში.

ვინაიდან, აქტივები, ვალდებულებები, შემოსავლები და ხარჯები უკვე აღიარებულია სრულუფლებიანი მონაწილის ფინანსურ ანგარიშგებაში, საჭირო აღარ იქნება რამე შესწორება, ან კონსოლიდაციის პროცედურები, სრულუფლებიანი მონაწილის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას.

შეიძლება ერთობლივი საქმიანობისათვის აუცილებელი არ იყოს ცალკე ბურალტრული აღრიცხვის წარმოება და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება ერთობლივი საქმიანობისათვის. მიუხედავად ამისა, სრულუფლებიანმა მონაწილემ მაინც უნდა მოამზადოს მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშები, რათა განსაზღვროს ერთობლივი საქმიანობის ფუნქციონირების ეფექტურობა.

**ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული აქტივები.** ზოგიერთი ერთობლივი საქმიანობა გულისხმობს ერთობლივ კონტროლს და კონტროლის სრულუფლებიანი მონაწილეების მიერ ერთობლივი საქმიანობის მიზნებისათვის შეძენილი აქტივების ერთობლივ მფლობელობასაც. ეს აქტივები გამოიყენება ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული ოპერაციების შესრულების დროს, სრულუფლებიანი მონაწილეების მიერ ერთობლივი ეკონომიკური სარგებლის მისაღებად. თითოეულმა სრულუფლებიანმა მონაწილემ შეიძლება მიიღოს მოცემული აქტივების მეშვეობით გამოშვებული პროდუქციის გარკვეული წილი და გაიღოს ხარჯების შეთანხმებული წილი.

ამგვარი ერთობლივი საქმიანობა არ გულისხმობს კორპორაციის, ამხანაგობის ან სხვა ტიპის საწარმოს დაფუძნებას, ან სრულუფლებიანი მონაწილე საწარმოებისაგან განსხვავებული ფინანსური სტრუქტურის ჩამოყალიბებას. თითოეულ სრულუფლებიან მონაწილეს გააჩნია მომავალ ეკონომიკურ სარგებელში თავისი წილის კონტროლის უფლება, ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ აქტივში საკუთარი წილის მეშვეობით. ნავთობის, გაზისა და მინერალური რესურსების მომპოვებელი დარგების მრავალი საწარმოსათვის დამახასიათებელია ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული აქტივები. მაგალითად, ნავთობის მწარმოებელ კომპანიებს უფლება აქვთ ერთობლივად გაუწონ ექსპლუატაცია ნავთობსაღწებს და ერთობლივი კონტროლი განახორციელონ მასზე. თითოეული სრულუფლებიანი მოანაწილე ნავთობსადენს იყენებს საკუთარი პროდუქტის ტრანსპორტირებისათვის, რის საფასურადაც იგი გაიღებს ნავთობსადენის ექსპლუატაციის ხარჯების შეთანხმებულ წილს. ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული აქტივების

მეორე მაგალითია, როდესაც ორი საწარმო ერთობლივად აკონტროლებს რაიმე ქონებას; თითოეულ მათგანს აქვს თავისი წილი მიღებულ საიჯარო ქირაში და გაწეულ ხარჯებში. ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ აქტივებში მის წილთან მიმართებაში, სრულუფლებიანმა მოანწილეობს თავის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს:

- ა) თავისი წილი ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ აქტივებში, აქტივების საკლასიფიკაციო ჯგუფების მიხედვით;
- ბ) ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკუთარი ვალდებულება;
- გ) თავისი წილი სხვა სრულუფლებიან მონაწილეებთან ერთად აღებულ ვალდებულებებში, რომლებიც დაკავშირებულია ერთობლივ საქმიანობასთან;
- დ) ერთობლივი საქმიანობის პროდუქციის თავისი წილის გაყიდვიდან ან გამოყენებიდან მიღებული შემოსავლები, ერთობლივი საქმიანობისათვის გაღებულ ხარჯებში საკუთარი წილის ჩვენებით; და
- ე) ყველა ის ხარჯი, რომელიც მან გაწია ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობისათვის.

ვინაიდან აქტივები, ვალდებულებები, შემოსავლები და ხარჯები უკვე ასახულია სრულუფლებიანი მონაწილის საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში, არავითარი კორექტირება ან კონსოლიდაციის პროცედურები არ არის საჭირო სრულუფლებიანი მონაწილის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენისან.

**ერთობლივად კონტროლირებადი საწარმო** - არის ისეთი ერთობლივი საქმიანობა, რომელიც მოიცავს კორპორაციის, ამხანავობის ან სხვა რომელიმე სამართლებრივი ფორმის საწარმოს დაფუძნებას, რომელშიც თითოეულ სრულუფლებიან მოანწილეს თავისი წილი გააჩნია. სამეურნეო სუბიექტი ისევე ეწევა საქმიანობას, როგორც სხვა ტიპის საწარმოები, იმ განსხვავებით რომ შეთანხმება განსაზღვრავს ინვესტორებს შორის სამეურნეო სუბიექტის ეკონომიკურ საქმიანობაზე ერთობლივ კონტროლს.

ერთობლივად კონტროლირებადი საწარმო განკარგავს ერთობლივი საქმიანობის აქტივებს, იღებს ვალდებულებებს და ეწევა ხარჯებს, იღებს შემოსავალს. მას შეუძლია საკუთარი სახელით გააფორმოს კონტრაქტები და მოიზიდოს ფინანსური სახსრები, თავისი საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე. თითოეულ სრულუფლებიან მონაწილეს გააჩნია უფლება, ერთობლივად კონტროლირებად საწარმოს მოგებაში გარკვეულ წილზე. ზოგჯერ ასეთი საწარმო აგრეთვე გულისხმობს წილის უფლებას, ერთობლივი საქმიანობის მიერ გამოშვებულ პროდუქციაში.

ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს მაგალითია, როდესაც ორი საწარმო დარგში თავის საქმიანობას აერთიანებს შესაბამისი აქტივებისა და ვალდებულებების, ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო სუბიექტისათვის გადაცემით, ან როდესაც საწარმო ბიზნესს იწყებს უცხო ქვეყნაში ამ ქვეყნის სამთავრობო ან სხვა რომელიმე ორგანიზაციასთან ერთად, ცალკე საწარმოს დაფუძნებით, რომელსაც ერთობლივად აკონტროლებს მოცემული საწარმო და უცხო ქვეყნის მთავრობა, ან სხვა ორგანიზაცია.

ერთობლივად კონტროლირებად საწარმოს შენარჩუნებული აქვს საკუთარი ბუღალტრული აღირიცხვა და იგი ფინანსურ ანგარიშგებას მოამზადებს და წარადგენს ისევე, როგორც სხვა სწარმოები, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

თთოეული სრულუფლებიანი მონაწილე, როგორც წესი, ფულს ან სხვა რესურსებს აბანდებს ერთობლივ კონტროლს დაქემდებარებულ სამეურნეო სუბიექტში. ეს შენატანები აიახება ამ სრულუფლებიანი მონაწილის სააღრიცხვო რეგისტრებში და საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც ინვესტიციების დაბანდება ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო სუბიექტში.

### **სრულუფლებიანი მონაწილის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.**

ერთობლივად კონტროლირებად საწარმოში მონაწილეობა სრულუფლებიანმა მონაწილემ უნდა აღიაროს პროპორციული კონსოლიდაციის ან ალტერნატიული მეთოდით, **კაბიტალ-ძებოდით.**

**პროპორციული კონსოლიდაცია** - ისეთი სააღრიცხვო მეთოდია, რომლის თანახმად სრულუფლებიანი მონაწილის წილი ერთობლივად კონტროლირებად საწარმოს აქტივებში, ვალდებულებებში, შემოსავლებსა და ხარჯებში გაერთიანებულია სრულუფლებიანი მონაწილის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მსგავს მუხლში, ან წარდგენილია ცალკე მუხლად სრულუფლებიანი მონაწილის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შესაძლებელია პროპორციული კონსოლიდაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენება. სრულუფლებიანმა მონაწილემ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეიძლება პირდაპირ შეკრიბოს ერთობლივად კონტროლირებად საწარმოში თავისი წილის შესაბამისი თანხები და თავისი ანალოგიური საბალანსო მუხლები. მაგალითად, მას შეუძლია გააერთიანოს ერთობლივად კონტროლირებად საწარმოს სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებში თავისი წილი და საკუთარი სასაქონლო მატერიალური ფასეულობები, ან ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო ძირითად საშუალებებში დაბანდებული თავისი წილი და საკუთარი ანალოგიური საბალანსო მუხლების თანხები. ალტერნატიულად, სრულუფლებიან მონაწილეს შეუძლია ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული სამეურნეო სუბიექტის აქტივებში, ვალდებულებებში, შემოსავლებსა და ხარჯებში არსებული თავისი წილის შესაბამისი ცალკეული მუხლი ჩართოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში; მაგალითად, მას შეუძლია ასევე თავისი წილი ერთობლივად კონტროლირებად სამეურნეო სუბიექტის მიმდინარე აქტივებში ცალკე აჩვენოს, საკუთარი მიმდინარე აქტივების შემადგენელი ნაწილის სახით; ასევე თავისი წილი ერთობლივად კონტროლირებად სამეურნეო სუბიექტის ძირითად საშუალებებში საკუთარი ძირითადი საშუალებების შემადგენელი ნაწილის სახით. ორივეს საანგარიშგებო ფორმა შედეგად გვაძლევს მოგების ან ზარალის და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ერთსა და იმავე რაოდენობას. წინამდებარე სტანდარტის თანახმად მისაღებია ორივე მათგანის გამოყენება.

### **კაბიტალ-ძებოდით გამოიყენება როგორც პროპორციული კონსოლიდაციის ალტერნატივა.**

პორპორციული კონსოლიდაციის მეთოდი უკეთ ასახავს ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო სუბიექტში, სრულუფლებიანი მონაწილის მონაწილეობის ბუნებას და ეკონომიკურ არსეს. მოუხდავად ამისა, სტანდარტით ნებადართულია კაბიტალ-ძებოდის, როგორც ალტერნატიული მიღვომის გამოყენება, როდესაც ხდება ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ სუბიექტებში არსებული წილების აღიარება.

## 16 . 5 . პსნები-ბანმარტებები

### პას 31 “ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობა” მიხედვით:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს:

- სათაო საწარმოსა და ისეთ შეილობილ საწარმოს შორის ურთიერთობის ხასიათი, რომელშიც სათაო საწარმო, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ არ ფლობს ხმის უფლების ნახევარზე მეტს;
- მიზეზები, რის გამოც ხმის უფლების ან პოტენციური ხმის უფლების ნახევარზე მეტის ფლობა, პირდაპირ ან არაპირდაპირ (შეილობილი საწარმოების მეშვეობით), არ გამოხატავს ცონტროლს;
- შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო თარიღი, როდესაც ამგვარი ფინანსური ანგარიშგება გამოიყენება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაძგენად და მისი საანგარიშგებო თარიღი ან პერიოდი განსხვავდება სათაო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო თარიღის ან პერიოდისგან, ასევე განსხვავებული საანგარიშგებო თარიღის ან პერიოდის გამოიყენების მიზეზებით.

### პას 28 “ინკუსტიციები მეკავშირე საწარმოებში” მიხედვით:

- მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინკუსტიციის რეალური ღირებულება, რომლისათვისაც არსებობს გამოქვეყნებული კოტირებული ფასები;
- მეკავშირე საწარმოს კრებითი ფინანსური ინფორმაცია, რომელიც მოიცავს აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლის და მოგების ან ზარალის მთლიან ოდენობას;
- მიზეზები იმისა, თუ რატომ შეიძლება ინკუსტორი პირდაპირ, არაპირდაპირ ან შვილობილი საწარმოს მეშვეობით ფლობდეს მეკავშირე საწარმოს ხმის ან პოტენციური ხმის უფლების 20%-ზე ნაკლებს, მაგრამ ადგილი პერიოდის მნიშვნელოვან გავლენას;
- მიზეზები იმისა, თუ რატომ შეიძლება ინკუსტორი პირდაპირ, არაპირდაპირ ან შვილობილი საწარმოს მეშვეობით ფლობდეს მეკავშირე საწარმოს ხმის ან პოტენციური ხმის უფლების 20%-ზე მეტს, მაგრამ ადგილი არ პერიოდის მნიშვნელოვან გავლენას;
- მეკავშირე საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო თარიღი, როდის გამოიყენება ფინანსურ ანგარიშგებაში კაპიტალ-მეთოდი და როდის არის განსხვავება ინკუსტორის ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო თარიღში ან საანგარიშგებო პერიოდში, ამ ცდომილების გამომწვევი მიზეზები.